სერბეთის პატრიარქმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ უკრაინის ხელისუფლების შეუწყნარებლობის ექსპონენციალურ ზრდაზე მიუთითა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.02.2024. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესგან მიღებული გზავნილის საპასუხოდ, სადაც მისი უწმინდესობა შეშფოთებას გამოხატავდა უკრაინის უმაღლესი რადას მიერ დისკრიმინაციული No8371 კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვასთან დაკავშირებით, სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირემ გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული კანონპროექტი „ემსახურება ფარულ მიზანს – სრულად აღკვეთოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი მაცხოვნებელი მისიის შემდგომი აღსრულება ძველი კიევის რუსეთის მემკვიდრეებს შორის“.

„ჩვენ გულწრფელად შეშფოთებულნი ვართ უკრაინის ხელისუფლების შეუწყნარებლობის ექსპონენციალური ზრდის გამო უკრაინაში ერთადერთ კანონიკურ ეკლესიასთან მიმართებით და განსაკუთრებით შეშფოთებულნი ვართ მათი განზრახვით, რომ ამ უკანონობას ლეგიტიმაცია მიანიჭონ დისკრიმინაციული კანონების მიღებით“, – ხაზგასმით აღნიშნა სერბეთის პატრიარქმა. – ამიტომ, ყოველთვის და ყველგან, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენ ვამოწმებთ უკრაინის

მართლმადიდებელი ეკლესიის ტანჯვასა და შევიწროებას და თხოვნით მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წარმომადგენელს, ვისაც კი ხელეწიფება, ძალისხმევა გამოიჩინოს ამ უსამართლობის თავიდან ასაცილებლად. ჩვენი წმინდა ეკლესიის მმართველი უმაღლესი სამღვდელთმთავრო ორგანოები არ წყვეტენ მოწოდებას ჩვენი მორწმუნე ხალხისადმი, რომ ილოცონ უკრაინელი მართლმადიდებელი ძმებისთვის და, შეძლებისამებრ, მატერიალური თუ არამატერიალური დახმარება გაუწიონ მათ, ვინც დაზარალდა საომარი მოქმედებების ან უღმერთო ხელისუფლების მხრიდან დევნის შედეგად“.

„ჩვენ მხოლოდ უფალს ვსასოებთ და მის მიმართ ვლოცულობთ. დაე მოიხილოს უფალმა ჩვენი ყოვლადწმიდა დედუფლის და ღვთისმშობლის ლოცვითი შემწეობით უკრაინის მრავალტანჯული ხალხი, და მიჰმადლოს მას მსწრაფლგამოხსნა ყველა მის თავსმოწეული უბედურებისგან“, – განაცხადა უწმინდესმა პატრიარქმა. პორფირემ.

„მერწმუნეთ, – თქვა მან დასასრულს, – სერბეთის ეკლესია შემდგომშიც გააგრძელებს მრავალტანჯული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გულმოდგინე ლოცვას და გარდა ამისა, მის იერარქიას, სამღვდელოებას და ერისკაცებს ყველა იმ სახის დახმარებას აღმოუჩენს, რაც შეეწევა მათ ამჟამინდელი განსაცდელების დაძლევაში“.

* * *

მას შემდეგ, რაც უკრაინელმა პარლამენტარებმა პირველი მოსმენით მიიღეს დისკრიმინაციული კანონპროექტი №8371, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ წერილები **გაუგზავნა** ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს და რიგ რელიგიურ მოღვაწეებს. მიმართა, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

„უკრაინაში ამ კანონპროექტის მიღების ინიციატორები და მხარდამჭერები – უმაღლესი დონის სახელმწიფო მოხელეები, უმაღლესი რადას დეპუტატები, რადიკალი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები – არ მალავენ, რომ კანონპროექტი მიმართულია უკრაინის უმსხვილესი რელიგიური თემის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ცენტრალიზებული სტრუქტურის, ლიკვიდაციას, ასევე ყველა მისი ეპარქიის, სამრევლოებისა და მონასტრების გაუქმებას ცალკეულად“, – დაასკვნა უწმინდესმა მეუფემ.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსის სახელით თხოვნით მიმართა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს, მხარი დაუჭირონ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას და მის ყველა ერთგულ შვილს, რომლებიც მწუხარებას განიცდიან *ღვთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისათვის* (გამოცხ. 1:9).

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91438/